

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ ლიხაურის
მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნება- სოციალ
დემოკრატები“-ს თავმჯდომარის გიორგი თოიძის მიერ 2018 წელს
გაწეული საქმიანობის შესახებ**

ანგარიში

მოგახსენებთ წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-მ წარმადგინა სოფელ ლიხაურში მაჟორიტარ კანდიდატად რომელშიც გავიმარჯვე და გავხდი საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში.
1). აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების და 2). სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიებში.

2018 წლის 1 აგვისტოდან ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატების“-ს თავმჯდომარე.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე 19, ბიუროს 6, და კომისიების 52 სხდომაში.

ჩემს მიერ მოწვეული და ჩატარებული იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატები“-ს 9 სხდომა სადაც განვიხილავდით საკრებულოზე მისაღებ სამართლებრივ აქტებს, ფრაქციაში შემოსულ სხვადასხვა კორესპონდენციებს.

ფრაქციის მიერ განხილული იქნა მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი რომელიც შენიშვნებით დაუბრუნდა მერს. ფრაქციის შენიშვნების უმეტესობა გათვალისწინებული იქნა.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 5 შეხვედრაში.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მევალება სოფლის პრობლემების შესახებ ინფორმირება მოვახდინო როგორც საკრებულოს ასევე აღმასრულებელი ორგანოს წინაშე.

თქვენ გაქვთ საშუალება თანამედროვე ინოვაციური ელექტრონული მექანიზმებით ჩაერთოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ლიხაური ერთ-ერთია იმ ხუთი სოფლიდან სადაც გაიხსნა ჩართულობის ცენტრი. ვფიქრობ უნდა გავაქტიურდეთ და გამოვიყენოთ ეს საშუალებები სხვა ინსტრუმენტებთან ერთად.

ასევე როგორც საკრებულოს წევრს და ამავედროულად საკრებულოს თანამდებობის პირს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 35-ჯერ (70 მოქალაქეს) მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას. კერძოდ: სამედიცინო დახმარებებს (საგარანტიო წერილს) ერთჯერად ფულად დახმარებებს. სოფლის ტერიტორიაზე შიდა გზების მოხრეშვას და რიგ ადგილებში ბეტონის გზის დაგებას და გარე განათების მოწესრიგებას.

აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ სამართლებრივ აქტების მიღება დამტკიცებაში კერძოდ:

ფრაქციის მიერ მხარდაჭერილი იქნა 2019 წლის ბიუჯეტი გამომდინარე იქედან რომ ყველა ის პრობლემა რომელიც ჩვენს საზოგადოებას აწუხებს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში სწორადაა განსაზღვრული, ეს პრიორიტეტებია:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- განათლება;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების.

-კურორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში.

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის შემოღების შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

- ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ.

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ.

აგრეთვე, საკრებულოს სხვადასხვა მიღებულ განკარგულება/დადგენილებებში რომელიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს, კომისიების და ფრაქციის სხდომებზე დასწრებით.

ეხლა მინდა მოკლედ მოგახსენოთ იმ პროექტების შესახებ რომელიც 2018 წელს განხორციელდა სოფელ ლიხაურში როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. კერძოდ ეს პროექტებია:

- საქართველოს პარლამენტის წევრის ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატის ეკონომიკის სამინისტროსთან შუამდგომლობით და ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის რწმუნებულთან აქტიური თანამშრომლობით განვახორციელეთ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ლიხაურის ცენტრში არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა ნაგებობების გადაცემა შემოქმედის ეპარქიის სარგებლობაში.
- ოზურგეთის საკრებულოს ინიციატივით მოწვეული იქნა ექიმთა ჯგუფი. რომლებმაც მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მათ შორის ლიხაურში მოსახლეობას ჩაუტარა სხვადასხვა პროფილით უფასო სამედიცინო გამოკვლევა.
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 19.000 ათ. ლარით გარემონტდა საბავშვო ბაღის ორი ოთახი. ეს პეტიციის სახით მოთხოვნილი საკითხი იყო. მადლობა მინდა მოგახსენოთ თქვენი აქტიურობისათვის.
- ბიუჯეტიდან ასევე გამოიყო 10.000 ათ. ლარი სოფელში წყლის სისტემის წერტილოვანი შეკეთებისთვის. სამუშაოები შესრულდა მაგრამ ამორტიზირებული მილების გამო, წარმოიქმნა ახალი კერები სადაც კვლავ მიმდინარეობს სამუშაოები.
- სოფელში ნაწილობრივ ჩატარდა შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები. სულ მოიხრეშა სამ კილომეტრამდე გზის მონაკვეთი.
- არამარტო ბიუჯეტით, არამედ ჩემი ინიციატივით საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან ამ შემთხვევაში ევროკავშირის მიერ იქნა დაფინანსება კერძოდ: ორ სხვადასხვა ლოკაციაზე თამარ მეფის ციხის მიმდებარედ და მდინარე გუდისწყლის ხეობაში დაიდგა რკინის კონსტრუქციით

დამზადებული ღია შენობები რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ტურისტებისთვის ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის საპიკნიკე არეალად.

- სოფლის ცენტრში დამონტაჟდა ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა რამაც მოქალაქეებს საშუალება მისცა სოფლის ცენტრის მიმდებარედ ესარგებლათ უფასო ინტერნეტ სერვისით.
- სტიქიით გამოწვეული ზარალის გამო სახურავის მასალა გადაეცათ 26 ოჯახს.
- ადგილობრივი მოსახლეობის და ჩემი ჩართულობით განხორციელდა სოფლის კუთვნილი, საყანე ფართობების შეღობვითი სამუშაოები კერძოდ: ჩოლოქის ტერიტორიაზე.
- სოფლის მეურნეობის მიმართულებით სოფელში მასობრივად განხორციელდა ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლითი ღონისძიებები. ასევე ბრუცელოზის და ცოფის საწინააღმდეგო აცრები.

მინდა მოკლედ მოგახსენოთ იმ პროექტების შესახებ რომელიც 2019 წელს განხორციელდება სოფელში.

- სოფელში დაგეგმილია სასაფლაოზე მისასვლელი გზების, ასევე ძნელად ასასვლელ აღმართებზე ბეტონის საფარის დაგება.
- საავტომობილო და საცალფეხო ხიდეებზე გარე განათებების მოწყობა.
- 2019 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა სულ თანხით 96.000 ათ.ლარი.
- 2019 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აჭის დასახლებაში მოსაცდელის მოწყობა და სასაფლაოს შემოღობვა, სულ 20.000 ათ ლარი.
- 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 9 აპრილის სახელობის პარკის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 10.000 ათ. ლარი.
- ლიხაურის სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 15.000 ათ. ლარი
- 2019 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილია მაკვანეთი-ლიხაურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის პროექტირება, რომლის შემდეგ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

ეს არ არის იმ სრული პროექტების ჩამონათვალი რომელიც დაგეგმილია 2019 წელს სოფელში.

რაც შეეხება გარე განათებას რომელიც სოფლის კრებაზე ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილებოდა, დაბეჯითებით მინდა მოგახსენოთ რომ საკრებულო და მერიის შესაბამისი სამსახურებები მუშაობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სოფლებში ენერგო-ეფექტური ნათურების და შესაბამისი მოწყობილობების დანერგვაზე, რაც უკვე ადგილობრივ ბიუჯეტს ენერგო ეკონომიის თვალსაზრისით საშუალებას მისცემს ეტაპობრივად მოიცვას გარე განათებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მაქსიმუმი.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და საკრებულოში თანამდებობის პირი ყველა ღონეს ვიხმარ ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში გადაწყდეს ყველა ის პრობლემა რომელიც აწუხებს სოფელს. გამომდინარე აქედან აქტიურად გავაგრძელებ თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტის წევრთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, გურიის მხარის გუბერნატორთან, საკრებულოსთან და მუნიციპალიტეტის მერიასთან.

და ბოლოს მინდა მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებულ სტუმრებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისათვის. ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის რწმუნებულს და მის თანაშემწეებს.

საკრებულოს წევრი

სოფელ ლიხაურის მაჟორიტარი დეპუტატი

ფრაქცია „ქართული ოცნება- სოციალ დემოკრატების“-ს

თავმჯდომარე გიორგი თოიძე

1 აპრილი 2019 წ.